პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი **წევრები:** ქეთევან ღვანიძე-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: **420002026**
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის მიერ (ს/კ **420002026**) საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „საოფისე საქმის“, „აღმზრდელისა“ და „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 15 აგვისტოს ბრძანება N721 საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ჯანელიძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (თავჯდომარე);

ბ) ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს მიეწოდა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან. **შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში** ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 3,4 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, შ. კიტიას ქუჩა 9.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია. ასევე, ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები. დათვალიერდა ბიბლიოთეკა, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა. შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დათვალიერებულ იქნა პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი.შედგა ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი. შეათანხმეს ძირითადი საკითხები. ვიზიტის ბოლოს შედგა დასკვნითი შეხვედრა კოლეჯის დირექტორთან და შეჯამდა ექსპერტთა მუშაობის შედეგები.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ზუგდიდი, 2019)

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	√	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	√	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	√	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	უზრუნველყოფის მექანიზმები.			
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	√	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	√	
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	√	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	√	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	√	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	√	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	√	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	√	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	√	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	√	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	√	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	√	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	√	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	√	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	√	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და	**მუხლი 7 /**		

√

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	√	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	√	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	√	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	√	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	√	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ვიზიტის დროს საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ გამოვლენილა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1. ქვესტანდარტი:

- საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულებში: „გაცნობითი პრაქტიკა“; „წერილობით ტექსტთან მუშაობა“; „კორესპონდენციის ორგანიზება“; „ადმინისტრაციული ასისტირება“; „საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა“; „მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება“; „საწარმო ოპრაქტიკა - საოფისე საქმე“; „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“; „უცხოური ენა(ინგლისური)“ წაიშალოს მითითებული არასათანადო(ზედმეტი) შეფასების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ ზოგადი მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ პირველი და მეხუთე შედეგი ითვალისწინებს პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით. აღნიშნული შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება. მიეთითოს შესაბამისი მტკიცებულება.
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში განსაზღვროს კონკრეტულად რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია.

1.2. ქვესტანდარტი

- სასურველია, იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლების განხორციელების უფლებაც ჯერ არ მოუპოვებია დაწესებულებას, მითითებული იყოს, რომ დაწესებულება აპირებს ამ პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას და კატალოგში მიეთითოს მინიშნება - ანონსი.

1.4 ქვესტანდარტი

- ბრძანებები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, მოვიდეს თანხვედრაში კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტთან, კერძოდ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან“
- გაიწეროს მიმღები კომისიის ვალდებულებები და საქმიანობის პროცედურები.

1.5. ქვესტანდარტი

- დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები/რეგულაციები;

1.6. ქვესტანდარტი

- „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემაში“ გაიწეროს აქტივობების შესრულების რეგულაციები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, დაზუსტდეს აქტივობების შესრულების ინდიკატორები.

3.3. ქვესტანდარტი

მიუხედავა იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია , რომ დაწესებულების შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტში მხარე გაცნობილია აღნიშნულ დოკუმენტს, დაწესებულებამ შრომით ხელშეკრულებაში უშუალოდ ასახოს შვებულების რეგულაციები და სამუშაოს ადგილი.

VII. დაწესებულების მისია

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მისიაა თანამედროვე მეთოდების დანერგვით, მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებით, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სისტემის შექმნით მოამზადოს მუდმივად ცვალებადი, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. კოლეჯი განუხრელად იზრუნებს კურსდამთავრებულთა კარიერულ ზრდაზე და დასაქმების ხელშეწყობაზე. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვაზე. კოლეჯის პედაგოგების და სხვა სტრუქტურის თანამშრომლების განახლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილება გაწერილია კოლეჯის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ #01/03 ბრძანებით (20 აპრილი 2017წ.). დებულების თანახმად კოლეჯის დირექტორი „ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს“. ყველა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „საოფისე საქმე“, „აღმზრდელი“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი. პროგრამას თან ერთვის: შესაბამისი მოდულები, სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური რესურსის შესახებ, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტების სწავლების შესახებ.

გათვალისწინებულია, საჭიროების შემთხვევაში, ქართული ენის შესაბამისი დონის სწავლება, გაწერილია სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.

წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. მოდულების თანმიმდევრობა და წინაპირობები ასახულია სასწავლო გეგმაში. ასევე გათვალისწინებულია გადაბარების შესაძლებლობა. სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

პროგრამებს ასევე ახლავს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, ინფორმაცია პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“

❖ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ზუგდიდის აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის პირველ ივლისს #01/22 ბრძანებით.

პროგრამა შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე- საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Managment(ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 04119-პ);

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

პროგრამის „საოფისე საქმის“ მოცულობა საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად **ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის:** არის **59 კრედიტი**, რომელიც ითვალისწინებს 5 პროფესიულ ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით და ერთი საერთო პროფესიული მოდულს 5 კრედიტის მოცულობით. საოფისე საქმის კვალიფიკაციის 14 პროფესიულ მოდულს 39 კრედიტის მოცულობით. ხანგრძლივობა - 46 კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის მოცულობა - 89 კრედიტი; ხანგრძლივობა - 70 კვირა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდული **„გაცნობითი პრაქტიკა“** ორ შედეგს მოიცავს. აქედან სტანდარტულ ჩანაწერებში მითითებულია, რომ პირველი შედეგის(იცნობს მომავალ პროფესიულ პროფილს და საკუთარ კარიერულ შესაძლებლობებს) **შეფასების მიმართულება** გულისხმობს **პრაქტიკულ დავალებას,** აღნიშნული შედეგის მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია, როგორც **პრაქტიკული დავალება, ასევე გამოკითხვა.**

აღნიშნული მოდული განხორციელდება : შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში და პრაქტიკის ობიექტებზე: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო(ზუგდიდი გამსახურდიას გამზირი N 45), ა(ა)იპ საუნჯე (ზუგდიდი რუსთაველის ქ N 52). დაწესებულებას აღნიშნულ დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

ა(ა)იპ საუნჯე-სთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2019 წლის 2 ივლისს (#10/10) 6 წლის ვადით. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია მოდულები: “გაცნობითი პრაქტიკა“ და „საწარმოო პრაქტიკა“ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო პროგრამის შესაბამისად და „შეთანხმება ატარებს ზეპირ ხასიათს“.

ანალოგიურია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან დადებული ხელშეკრულებაც(#10/07, 2019 წლის 2 ივლისი, 6 წლის ვადით).

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ააიპ „საუნჯეში“, სადაც შეხვდა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს სწავლების პროცესს. გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას სწავლების დიდი გამოცდილება აქვს. როგორც, დამოუკიდებლად სხვადასხვა მიმართულების ტრენინგების განხორციელების მხრივ, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის კუთხით. ორგანიზაციის ოფისი იძლევა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების შესაძლებლობას. ხელმძღვანელი ძალიან კარგად იცნობდა პროგრამას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდული **„წერილობით ტექსტთან მუშაობა“** ექვს შედეგს მოიცავს. აქედან სტანდარტულ ჩანაწერებში მითითებულია, რომ ყველა შედეგის შეფასების მიმართულება გულისხმობს **პრაქტიკულ დავალებას**, აღნიშნული შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია, როგორც **პრაქტიკული დავალება, ასევე გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება.** ასევე, მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით მიდგომებში ვკითხულობთ, რომ „მოდულის ფარგლებში მისაღწევი კოგნიტური უნარის (ცოდნის) განმსაზღვრელი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს მოდულის ბოლოს ერთჯერადად, ტესტი (ღია, დახურული კითხვები) და მასში ინტეგრირებული ტექსტური დავალება/დავალებები, რომლის/რომელთა მიზანი იქნება ყველა სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება“. არსად არის ნახსენები პრაქტიკული დავალება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის **„კორესპონდენციის ორგანიზება“** პირველი და მეორე შედეგის შეფასების მიმართულება გულისხმობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტულ ჩანაწერებში გამოკითხვას, შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია, როგორც **გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება**.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის **„ადმინისტრაციული ასისტირება“** პირველ და მესამე შედეგთან მიმართებაში აქედან სტანდარტულ ჩანაწერებში მითითებულია, რომ შეფასების მიმართულება გულისხმობს **გამოკითხვას**, აღნიშნული შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია, როგორც **გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით -შესრულების მტკიცებულება**
ამავე მოდულის მეხუთე შედეგი ითვალისწინებს შეფასების მიმართულებას „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“, აღნიშნული შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია, როგორც **„პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება“**, ასევე, **„პროდუქტი, როგორც მტკიცებულება“**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის „საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა“ პირველი შედეგის შეფასების მიმართულება გულისხმობს **გამოკითხვას.** აღნიშნული შედეგის მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია როგორც **გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება** ასევე, **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით -შესრულების მტკიცებულება.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის ‘მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება“ პირველი შედეგის შეფასების მიმართულება გულისხმობს **გამოკითხვას**. აღნიშნული შედეგის მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია როგორც **გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება,** ასევე, **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით -შესრულების მტკიცებულება.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის „საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე“ პირველი შედეგის შეფასების მიმართულებად განსაზღვრულია **პრაქტიკულ დავალებას**.
აღნიშნული შედეგის მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია როგორც **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** ასევე, **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ ზოგადი მოდულის **„ინფორმაციული წიგნიერება 1“ პირველი და მეხუთე შედეგი ითვალისწინებს** პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით. აღნიშნული შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ზუგდიდი, 2019)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის **„ინტერპერსონალური კომუნიკაცია“** ოთხივე შედეგი გულისხმობს **„პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით“.** ოთხივე შედეგის მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია როგორც **გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება,** ასევე, **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით -შესრულების მტკიცებულება.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულის **„უცხოური ენა(ინგლისური)“** ოთხივე შედეგი გულისხმობს **„პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით“.** ოთხივე შედეგის მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია როგორც **გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება,** ასევე, **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება.**

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი „საოფისე საქმის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ ამ პროგრამისათვის სასწავლებელს აქვს ორი გარემო (A და B). A გარემო წარმოადგენს 22 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახს და B გარემო 22.6 კვადრატული მეტრი ფართის სივრცეს სადაც დაეტევა 12 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. აქედან გამომდინარე დაწესებულება ორ ცვლაში დაწესებულება ითხოვს 24 სტუდენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 01 ივლისის N01/23 ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, სწავლის ხანგრძლივობა 88 კვირა. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია, სწავლის ხანგრძლივობა - 112 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებასა (N 10/08 02.07. 2019 წ.) და ი/მ მათე კიკალიშვილთან (ბაგა ბაღი „ჯიჯი“ N 10/05 02.07. 2019 წ.) ხელშეკრულება ითვალისწინებს პარტნიორი დაწესებულებების საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენების უფლებას.

ხელშეკრულების თანახმად ააიპ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება___იღებს ვალდებულებას პრაქტიკით უზრუნველყოს სტუდენტები N 10 და N 16 ბაგა–ბაღებში. ხელშეკრულებებში განსაზღვრული არ არის კონკრეტულად რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს პრაქტიკის ობიექტი. მხარეები თანხმდებიან, რომ პრაქტიკანტთა რაოდენობაზე შეთანხმდებიან ურთიერთმოლაპარაკების გზით, ზეპირსიტყვიერად.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება. კერძოდ, მონახულებული იქნა კერძო საბავშვო ი/მ მათე კიკალიშვილი-ბაგა-ბაღი „ჯიჯი“. ობიექტზე ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუთი დადგინდა აღნიშნული ობიექტის მზაობა სტუდენტების მიღებისათვის. ეს არის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა, ერთსართულიანი, სადაც არის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი. ბაგა-ბაღი თავისუფლად უზრუნველყოფს 24 პროფ. სტუდენტის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ბაღი მუშაობს გახანგრძლივებულ რეჟიმში, გასაუბრებისას განგვიმარტეს, რომ მოხდება სტუდენტების მონაცვლეობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რათა ყველამ თანაბრი პრაქტიკული გამოცდილება მიიღოს.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ ამ პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი გარემო (A და B). A გარემო (N8 აუდიტორია) წარმოადგენს 21,5 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახს და B გარემო (N10 აუდიტორია) 22.6 კვადრატული მეტრი ფართის სივრცეს, აღნიშნულ აუდიტორიებში განთავსდება 12 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად ორ ცვლაში დაწესებულება ითხოვს 24 სტუდენტის დამატებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ) და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 01 ივლისის N01/24 ბრძანებით. (საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე- უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / HigherVocational Qualification in Accounting

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 74 კვირა.

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 129 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 98 კვირა.

საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ააიპ „საუნჯე“-სთან (N 10/09 02.07. 2019 წ. – 6 წლის ვადით) და შპს „ფინსერვისი აუდიტთან“ (N 10/06 02.07. 2019 წ. – 4 წლის ვადით) დაწესებულებების საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და აღჭურვილობის გამოყენებით.

ხელშეკრულებებში განსაზღვრული არ არის კონკრეტულად რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს პრაქტიკის ობიექტი. მხარეები თანხმდებიან, რომ პრაქტიკანტთა რაოდენობაზე შეთანხმდებიან ურთიერთმოლაპარაკების გზით, ზეპირსიტყვიერად.

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე: შპს „ფინსერვის აუდიტი“ და ააიპ „საუნჯე“. დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი მზად არიან პრაქტიკის გასავლელად მიიღონ სტუდენტები და ასევე სურვილი აქვთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაასაქმონ კოლეჯის წარმატებული კურსდამთავრებულები მათ კომპანიებში. კომპანიამ განგვიმარტა, რომ მართალია, კოლეჯი 24 ბავშვზე მეტის მიღებას არ აპირებს, მაგრამ მათ აქვთ რესურსი 30 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღების.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება“, სადაც აღნიშნულია, რომ ამ პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ორი გარემო (A და B). A გარემო (N 2 აუდიტორია) წარმოადგენს 18,4 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახს და B გარემო (N 10 აუდიტორია) 22.6 კვადრატული მეტრი ფართის სივრცეს, აღნიშნულ აუდიტორიებში განთავსდება 12 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად ორ ცვლაში დაწესებულება ითხოვს 24 სტუდენტის დამატებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დებულება , დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ #01/03 ბრძანებით 20 აპრილი 2017 წ.
- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 2019 წლის პირველ ივლისს #01/22 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „საოფისე საქმე“;
- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 2019 წლის პირველ ივლისს N 01/23 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით “ აღმზრდელი“;
- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 2019 წლის პირველ ივლისს N 01/24 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „ბუღალტრული აღრიცხვა“
- ხელშეკრულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;
- ხელშეკრულებით შპს „ფინსერვისი აუდიტთან“ (N 10/06 02.07. 2019 წ. – 4 წლის ვადით);
- ხელშეკრულებით ააიპ „საუნჯე“-სთან (N 10/09 02.07. 2019 წ. – 6 წლის ვადით);
- ხელშეკრულებით ი/მ მათე კიკალიშვილთან(ბაგა-ბაღი „ჯიჯი“).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- წაიშალოს საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ მოდულებში:**„გაცნობითი პრაქტიკა“; „წერილობით ტექსტთან მუშაობა“** ; **„კორესპონდენციის ორგანიზება“;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ადმინისტრაციული ასისტირება“; „საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა“; „მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება“; „საწარმოოპრაქტიკა - საოფისესაქმე“ ; **„ინტერპერსონალური კომუნიკაცია“; „უცხოური ენა(ინგლისური)“** წაიშალოს მითითებული არასათანადო(ზედმეტი) შეფასების მტკიცებულებები.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ ზოგადი მოდულის **„ინფორმაციული წიგნიერება 1“ პირველი და მეხუთე შედეგი ითვალისწინებს** პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით. აღნიშნული შედეგების მტკიცებულებად კი დამხმარე ჩანაწერებში მითითებულია **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება. მიეთითოს შესაბამისი მტკიცებულება.**
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში განსაზღვროს კონკრეტულად რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი http://akademiazug.ge/?page_id=878. ვებ-გვერდზე განთავსებულია 2017, 2018 და 2019 წლის კატალოგები.
კატალოგში ასახულია კოლეჯის მისია, ინფორმაცია პარტნიორი კომპანიების შესახებ, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. საკონტაქტო ინფორმაცია. ასახულია ის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებიც რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას, თუმცა არ არის მითითებული ეს ანონსის სახით.
კატალოგი გაჯერებულია კოლეჯის რეალური სასწავლო პროცესის და გარემოს ამსახველი ფოტომასალით. ასევე არის ინფორმაცია პირველადი სამედიცინო დახმარებისა და საევაკუაციო გეგმის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდი - http://akademiazug.ge/?page_id=878.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- სასურველია იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლების განხორციელების უფლებაც ჯერ არ მოუპოვებია დაწესებულებას, მითითებული იყოს, რომ დაწესებულება აპირებს ამ პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას და კატალოგში მიეთითოს მინიშნება - ანონსი.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „საოფისე საქმე“, „აღმზრდელი“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ შეესაბამება შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს:

- ❖ პროგრამა „საოფისე საქმე“ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს-საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Managment(.ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 04119-პ);
- ❖ პროგრამა „აღმზრდელი“ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს-აღმზრდელი(ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 02117-პ);
- ❖ პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს-ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting (ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის, საფუძველზე შემუშავებულია პროგრამა: 04114-პ);

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ○ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით: საოფისე საქმე“, „აღმზრდელი“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ○ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები დარეგულირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული 17.12.2019 წლის #01/39 ბრძანებით) (მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება; მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება; მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა; მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;მუხლი 9. მობილობა; მუხლი 10. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება; მუხლი 11. არაფორმალური განათლების აღიარება). აღნიშნული დოკუმენტის მეხუთე მუხლში მითითებულია, რომ „დირექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტული საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ბრძანებით განისაზღვრება:

ა) პროგრამის ზუსტი დასახელება და საფეხური;

ბ) ჩარიცხვის პირობები;

გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი;

დ) დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღები;

ე) გამოცდის/გასაუბრების ჩატარების თარიღები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი.“

ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, სადაც გაწერილი იყო დოკუმენტების წარმოდგენის ვადები, მოთხოვნილი დოკუმენტების(პირადობის და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და ფოტოსურათი) სია, პროგრამების დასახელება და საფეხური. ინფორმაცია მისაღები გამოცდის არსებობის ან არარსებობის შესახებ, ჩარიცხვის პირობებისა და სასწავლო პროცესის დაწყების თარიღის შესახებ აღნიშნულ ბრძანებაში არ იყო მითითებული.

ბრძანების დანართს წარმოადგენს მიმღები კომისიის შემადგენლობის სია. დაწესებულების არც ერთ დოკუმენტში არ არის დარეგულირებული მიმღები კომისიის ვალდებულებები და საქმიანობის პროცედურები. ასევე არსადაა გაწერილი, თუ რას უნდა მოიცავდეს პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 17.12.2019 წლის #01/39 ბრძანებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, მოვიდეს თანხვედრაში კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებთან, კერძოდ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან“
- გაიწეროს მიმღები კომისიის ვალდებულებები და საქმიანობის პროცედურები.

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, პროგრამის შეცვლისა და გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი) სადაც ვკითხულობთ, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში „დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან.“ აღნიშნული ჩანაწერი ძალიან ზოგადია და არ იძლევა ზუსტ ინსტრუქციას ან განმარტებას.
საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯ შპს ,,ცხუმ-ეგრისთან“, რომელიც ახორციელებს მსგავს პროგრამებს. ასევე კოლეჯი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი და ამ ასოციაციის ფარგლებში გაფორმებულია მრავალმხრივი ხელშეკრულება ასოციაციის წევრებს შორის თანამშრომლობის შესახებ(14.06.2019).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტკიცებული შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 17.12.2019 წლის #01/39 ბრძანებით

რეკომენდაცია:

- დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები/რეგულაციები

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 21.04.2017 წლის #04/05 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა“, რომლის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფასა და კონტროლს დაწესებულება განახორციელებს დემინგის ციკლის მიხედვით. დოკუმენტის თანახმად გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება ორ ეტაპად:

ა) პროგრამის მიმდინარეობისას(თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ);

ბ)პროგრამის დასრულებისას.

დოკუმენტის თანახმად შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

- შეიმუშავებს ანონიმური გამოკითხვის ანკეტა კითხვარებს;
- სასწავლო წლის განმავლობაში ატარებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს;
- შეიმუშავებს პერსონალის ანონიმური გამოკითხვის ანკეტებს;
- ატარებს ყოველწლიურად პერსონალის ანონიმურ გამოკითხვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეისწავლის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ამოწმებს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების არსებობას და მის შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამებთან;

დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, გამოიყენებს კითხვარებს: პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი; პროფესიული სტუდენტის კითხვარი; ადმინისტრაციის კითხვარი; კურსდამთავრებულთა კითხვარი; დამსაქმებლის კითხვარი; შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშები.

ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამის ადაპტირების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ ორი ტრენინგი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიდგომებისა და შეფასების კუთხით. გაირკვა რომ დაგეგმილია კიდევ ორი ტრენინგი პროგრამების დაწყებისთანავე, იმ შემთხვევაში თუ მოიპოვებენ განხორციელების უფლებას.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია ამჟამად შეთავსებული აქვს კოლეჯის დირექტორს.

ამჟამად კოლეჯში მილევად რეჟიმში სწავლობს 10 პროფესიული სტუდენტი. რომლებიც ჩართული არიან პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში.

აღნიშნულ სისტემაში არ არის გაწერილი თუ რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს აქტივობები, რამდენჯერ და როდის ივსება კითხვარები, ვინ არის პასუხისმგებელი კითხვარების შევსებაზე და პასუხების დამუშავებაზე, რა არის მათი შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება. შემდგომ როგორ ხდება ამ მიღებული შედეგების გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის დირექტორის მიერ 21.04.2017 წლის #04/05 ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემა

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების სისტემაში“ გაიწეროს აქტივობების შესრულების რეგულაციები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, დაზუსტდეს აქტივობების შესრულების ინდიკატორები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	**მისამართი**	**კვ.მ.**
1.	ქ.ზუგდიდი. შ.კიტიას ქ.9	403.3

იჯარის ხელშეკრულებები გატარებულია საჯარო რეესტრში და ასახულია ამონაწერებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

კოლეჯის იჯარის ხელშეკრულებით მფლობელობაში არსებული ფართი განლაგებულია ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, სულ არის 16 აუდიტორია. აქედან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ *აღნიშნულ აუდიტორიებში განთავსდება 12 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად ორ ცვლაში დაწესებულება ითხოვს 24 სტუდენტის დამატებას.*

1. **A გარემო** (*(N1 აუდიტორია- 22 კვ.მ.)*
   - ✓ პროექტორი/ეკრანი 1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც;
   - ✓ ფლეშ-მეხსიერება 1 ც;
   - ✓ მაგიდა-2 ადგილიანი 6 ცალი;
   - ✓ სკამი-12 ც;
   - ✓ დაფა -1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი
   - ✓ ხმის აუდიო მოწყობილობა
   - ✓ ფლიჩფარტის დაფა 1 ცალი;
   - ✓ ფოტოაპარატი 1 ცალი;
   - ✓ ოგანაიზერი 6 ცალი.
   - ✓ სტეპლერი ასაკინძი 1 ცალი.
   - ✓ ფერადი კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი);

2. ***B*** *სასწავლო გარემო(N10 აუდიტორია- 22.6 კვ.მ.).*
   - ✓ პროექტორი/ეკრანი 1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც;
   - ✓ პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 12ც;
   - ✓ ფლეშ-მეხსიერება 1 ც;
   - ✓ მაგიდა-1 ადგილიანი 12 ცალი;
   - ✓ სკამი-12 ც;
   - ✓ დაფა-1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი;
   - ✓ კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **ბუღალტრული აღირცხვა** *აღნიშნულ აუდიტორიებში განთავსდება 12 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად ორ ცვლაში დაწესებულება ითხოვს 24 სტუდენტის დამატებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **A გარემო** (*(N2 აუდიტორია- 18.4 კვ.მ.)*
   - ✓ მონიტორი/ეკრანი 1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც;
   - ✓ ფლეშ-მეხსიერება 1 ც;
   - ✓ მაგიდა-2 ადგილიანი 6 ცალი;
   - ✓ სკამი-12 ც;
   - ✓ დაფა -1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი
   - ✓ ოგანაიზერი 6 ცალი.

4. ***B*** *სასწავლო გარემო(N10 აუდიტორია- 22.6 კვ.მ.).*
   - ✓ პროექტორი/ეკრანი 1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც;
   - ✓ პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 12ც;
   - ✓ ფლეშ-მეხსიერება 1 ც;
   - ✓ მაგიდა-1 ადგილიანი 12 ცალი;
   - ✓ სკამი-12 ც;
   - ✓ დაფა-1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი;
   - ✓ კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ *აღნიშნულ აუდიტორიებში განთავსდება 12 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად ორ ცვლაში დაწესებულება ითხოვს 24 სტუდენტის დამატებას.*

5. **A გარემო** (*(N 8 აუდიტორია-21.5კ ვ.მ.)*
   - ✓ პროექტორი/ეკრანი 1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც;
   - ✓ ფლეშ-მეხსიერება 1 ც;
   - ✓ მაგიდა-2 ადგილიანი 6 ცალი;
   - ✓ სკამი-12 ც;
   - ✓ დაფა -1ც;
   - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ***B*** *სასწავლო გარემო(N10 აუდიტორია- 22.6 კვ.მ.).*

- ✓ პროექტორი/ეკრანი 1ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1ც;
- ✓ პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 12ც;
- ✓ ფლეშ-მეხსიერება 1 ც;
- ✓ მაგიდა-1 ადგილიანი 12 ცალი;
- ✓ სკამი-12 ც;
- ✓ დაფა-1ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით-1კომპლექტი;
- ✓ კომბაინი(პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი);

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ○ ვიზუალური დათვალიერებით;
- ○ შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ○ საინვენტარო წიგნით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ყველა ფართი უზრუნველყოფულია ბუნებრივი განათებით, ფანჯრებით, გათბობა უზრუნველყოფილია ელექტროღუმელებით, ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია კონდენციონერი.

მთელს პერიმეტრზე უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები მოწყობილია ეზოში (ქალებისთვის და მამაკაცებისთვის), ასევე არის ადაპტირებული სველი წერტილიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ელექტროენერგიის დამადასტურებელი ქვითრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდზე http://akademiazug.ge/?page_id=302 განთავსებულია ბიბლიოთეკაში დაცული საგანმანათლებლო რესურსის სია, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი(http://akademiazug.ge/?page_id=39). ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური და ელექტრონული რესურსი აღრიცხულია შესაბამის ჟურნალში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძ. 01/05 21.04.2017.

ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე 6 მაგიდით და 8 სკამით. ასევე აქ არის კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, „საოფისე საქმე“, „აღმზრდელი“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“, შერჩევით შემოწმდა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში. ყველა მოთხოვნილი წიგნი ადგილზე იყო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
- http://akademiazug.ge/?page_id=302
„ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძ. 01/05 21.04.2017;
ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, სადემონსტრაციო საშუალებებით.

დაწესებულებას აქვს 20 პერსონალური კომპიუტერი. აქედან 4 ადმინისტრაციისთვისაა განკუთვნილი, ხოლო 16 პროფესიული სტუდენტებისათვის. ასევე კოლეჯს მფლობელობაში აქვს 1 პროექტორი, 1 მონიტორი, 1 ფერადი და 3 შავ-თეთრი პრინტერი. კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა „ორისი“ (დემო ვერსია) ჩართულია ინტერნეტ ქსელში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ხელშეკრულებით ინტერნეტ პროვაიდერთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით 01/01 19.04.17 დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“. კოლეჯში საქმისწარმოება მიმდინარეობს ამ წესის შესაბამისად. გამოცემული ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების და სხვა რეგისტრაცია ხდება შემდეგ ჟურნალებში:
საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
სტუდენტების ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
შემოსული განცხადებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
შემოსული კორესპონდენციების სარეგისტრაციო ჟურნალი;
გასული კორესპონდენციების სარეგისტრაციო ჟურნალი;
შრომითი ან/და მომსახურების ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
სულ 7 ჟურნალია, რომლის გვერდები დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია ბეჭდით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით 01/01 19.04.17 დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“;
- სარეგისტრაციო ჟურნალებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ 21.04.17 ბრძანება 01/05. კოლეჯის დერეფანში მოთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრი ინვენტარი, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესები. გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია.

ბ) დაწესებულებას აქვს საევაკუაციო დამატებითი გასასვლელი, რომელიც უზრუნველყოფილია დამატებითი სათადარიგო რკინის კიბით.

გ) დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. დანიშნულია შესაბამისი პირი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ 21.04.17 ბრძანება 01/05. დოკუმენტის თანახმად „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის პროფესიულ სტუდენტებსა (შემდეგში-სტუდენტი) და თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ ექთანს, მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.
საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის ბრძანებით პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ერთი კვალიფიკაციით არის ფერშალი, მეორე კვალიფიკაციით ექიმი ჰიგიენისტი, ეპიდემიოლოგი და მესამე კვალიფიკაციით კი სამკურნალო ფიზიკური კულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალისტი, დავალებული აქვს ექთნის მოვალეობის შესრულება. ბრძანებაში იყო გვარი არასწორად დაფიქსირებულივიზიტის პერიოდში შევიდა ბრძანებაში ცვლილება და ეს უზუსტობა ჩასწორდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შინაგანაწესი დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01/03(21.04.17);
- ✓ „წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“ დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01/05(21.04.17);
- ✓ „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ 20.04.17 ბრძანება 01/05;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7. დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება განლაგებულია ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე. სართულებს შორის დამაკავშირებელ კიბეზე დამონტაჟებულია ასაკეცი რკინის პანდუსი, ასევე დაცვის თანამშრომელს დირექტორის ბრძანებით დავალებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დახმარების გაწევა. დაწესებულების ეზოში მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული სივრცე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფოტო მასალა;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდი www.akademiazug.ge. ქართულენოვანია. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, კითხვარები(ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტის, პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის). არის ბიბლიოთეკის განყოფილება-რომელიც მოიცავს წიგნადი ფონდის სიას, სულ 547 ერთეული, ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2017, 2018, 2019 წლის კატალოგები, დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა), დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები და სხვა.
ვებ-გვერდზე ინფორმაცია განახლებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით: www.akademiazug.ge.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2017-2022) და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ.

სტრატეგიული გეგმაში გაწერილია: სტრატეგიული მიზნები, დაგეგმილი აქტივობა/ამოცანები, რესურსები, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსალოდნელი რისკები. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 6 ძირითადი მიზანი, რომელებიც ჩაშლილია ამოცანებად წლების მიხედვით.

ერთწლიან გეგმაში გაწერილია 9 ძირითადი მიზანი.

დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
განვითარების გრძელვადიანი ექვსწლიანი (2017-2022) გეგმა დამტკიცებული დირექტორის ბრძნებით #01/06 (24.04.2017);

განვითარების ერთწლიანი (2019) გეგმა დამტკიცებული დირექტორის ბრძნებით #01/01 (03.01.2019)

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის დებულებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, შრომის შინაგანაწესის თანახმად პერსონალის სამსახურში მიღებისას და განთავისუფლებისას დირექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის კანონმდებლობით.
დაწესებულებაში ადმინისტრაციის თანამშრომლები სამსახურში მიიღებიან წერილობითი განცხადების საფუძველზე. ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ თავსდება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც მიეთითება ვაკანსიის რაოდენობა, მოთხოვნები და საბუთების წარმოდგენის ვადები. ცალკე დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწესებულებას არა აქვს. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პირად საქმეებში იყო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ექთანს და ბიბლიოთეკარს ჰქონდათ სათანადო კვალიფკაცია/სამუშაო გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესი დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01/03(21.04.17);
- კოლეჯის დებულება , დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მიერ #01/03 ბრძანებით 20 აპრილი 2017 წ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვლიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი აქვს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01/18 (11 მაისი 2017) დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. (მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლები).
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალთან.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს

„საოფისე საქმე“-19 პროფესიული განათლების მასწავლებელი;
„აღმზრდელი“- 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი;
„ბუღალტრული აღრიცხვა“- 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01/18 (11 მაისი 2017) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით“;
პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ დაწესებულების შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტში მხარე გაცნობილია აღნიშნულ დოკუმენტს. ის რეგულაციები რომლებიც არ არის გაწერილი ხელშეკრულებაში რეგულირდება შინაგანაწესით(უშუალოდ ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული შვებულების პირობები და ცალკე პუნქტად გამოტანილი სამუშაო ადგილი). ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში არის ჩანაწერი შინაგანაწესის შესახებ და შინაგანაწესით რეგულირებულია შრომითი ურთიერთობის ყველა არსებითი პირობა, უმჯობესია უშუალოდ შრომის ხელშეკრულებაში დაფიქსირდეს შრომის კოდექსით განსაზღვრული ყველა არსებითი პირობა, ამ შემთხვევაში შვებულების პირობები და მისამართი, რომელიც დაფიქსირებულია მხოლოდ ხელშეკრულების ბოლო პუნქტში, სადაც მითითებულია ხელმომწერი მხარის რეკვიზიტები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესი დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01/03(21.04.17);

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია , რომ დაწესებულების შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ხელშეკრულების ხელის მოწერის მომენტში მხარე გაცნობილია აღნიშნულ დოკუმენტს, დაწესებულებამ შრომით ხელშეკრულებაში უშუალოდ ასახოს შვებულების რეგულაციები და სამუშაოს ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საოფისე საქმე (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	ზუგდიდი შ.კიტიას 9	- -	24
2	აღმზრდელი (მოდულური)	მეხუთე დონე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. 030255	116	146	ქართული	ზუგდიდი შ.კიტიას 9	-	24
3	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	ზუგდიდი შ.კიტიას 9	-	24

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ვიზიტის ოქმი
დანარტი 3. შეფასების ინსტრუმენტი(ტესტი)

06.10.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: